საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

# გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

№ 06-05/349 17 07 2013 წ

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახურის უფროსს
ქალბატონ ინგა ნიკაგოსიანს

ქალბატონო ინგა,

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში თქვენი მ/წლის 08 ივლისის N794 წერილის და 15 ივლისის N882 და 884 წერილებით წარმოდგენილი იქნა სტუდია მონიტორის N2263 05.07.2013წ., N2255 05.07.2013წ. და N15555/11 09.07.2013წ. წერილები, რომლებშიც მოთხოვნილია ტაბაწყურის ტბაზე გაცემული თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის შ.პ.ს. „ტბები"-ს მიერ სალიცენზიო პირობების შესრულების დამადასტურებელი გარკვეული სახის ინფორმაციის წარმოდგენა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 21 სექტემბრის N1-1/1552 ბრძანებით შ.პ.ს. „ტბებზე" გაცემულია N000003 თევზჭერის ლიცენზია. შ.პ.ს. „ტბების" მიერ N000003 თევზჭერის ლიცენზიის შესაბამისად შემუშავებული მართვის 5-წლიანი გეგმა დღეის მდგომარეობით არ არის დამტკიცებული. ლიცენზიანტის მიერ 2012 წლის 20 დეკემბრის N4310 წერილით დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა მართვის გეგმა, რომელიც მასზედ არსებული შენიშვნებითა და წინადადებით 2013 წლის 15 თებერვლის N08-10/491 წერილით უკან დაუბრუნდა ლიცენზიანტს გადასამუშავებლად.

ლიცენზიანტის მიერ გადამუშავებული მართვის გეგმა 2013 წლის 19 აპრილის N2400 წერილით კვლავ იქნა წარმოდგენილი განსახილველად, რომელიც განთავსებული იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე www.moe.gov.ge მისი საჯარო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით. ამასთან, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჩატარდა აღნიშნული გეგმის საჯარო განხილვა და იგი მასში არსებული ხარვეზების გამო კვლავ უკან დაუბრუნდა ლიცენზიანტს გადასამუშავებლად.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 2873
18 07 2013წ

რაც შეეხება დასკვნას ტაბაწყურის ტბის წყლის ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური, მათ შორის წყლის ხარისხის გამოკვლევის შესახებ, გაცნობებთ რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 21 სექტემბრის N1-1/1552 ბრძანების მე-3 პუნქტის თანახმად, შ.პ.ს. „ტბები" ვალდებულია დაიცვას „შიდა წყალსატევებში თევზჭერის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 20 ივლისის N1-1/1228 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო პირობები.

ამასთან, N1-1/1228 ბრძანების პირველი პუნქტის „ა)" ქვეპუნქტის თანახმად ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის ვადაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში უნდა წარედგინა დასკვნა წყლის ობიექტის ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური, მათ შორის წყლის ხარისხის გამოკვლევის შესახებ და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად შედგენილი მართვის 5 წლიანი გეგმა

თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულებაში საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბერის N300 დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება, რომლის თანახმად, ლიცენზიანტს წყლის ობიექტის ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური, მათ შორის წყლის ხარისხის გამოკვლევის შესახებ დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება აღარ გააჩნია, შესაბამისად ლიცენზიანტის მიერ აღნიშნული დასკვნა არ არის წარმოდგენილი.

რაც შეეხება ტაბაწყურის ტბის დათევზიანებას, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შპს „ტბების" მიერ ლიცენზიის გაცემიდან დღემდე წყალსატევის დათევზიანება არ განხორციელებულა, თუმცა ლიცენზიის მფლობელის მიერ წარმოდგენილი წერილის თანახმად, შპს „ტბების" მიერ მოხდა 2 ტონა გრძელწარწუხიანი და განიერმარწუხიანი კიბორჩხალის ტაბაწყურის ტბაში გაშვება. აღნიშნული ქმედება ლიცენზიანტმა განახორციელა შესაბამის ორგანოებთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, ლიცენზიანტს ტაბაწყურის ტბის დათევზიანების თაობაზე დეპარტამენტისათვის არ მოუმართავს.

ამასთან, შ.პ.ს. „ტბებს" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 21 სექტემბრის N1-1/1552 ბრძანებით დაუდგინდა ლიცენზიის გაცემის პირველი წლისათვის მოსაპოვებელი თევზის რესურსის ოდენობა - კვოტა. 2011-2012 წლების კვოტის დამტკიცების თაობაზე ლიცენზიანტს არ მოუმართავს შესაბამისი უწყებისათვის, რაზედაც მის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც განხილული იქნა ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს მიერ და შ.პ.ს. „ტბები" დაჯარიმდა 2000 ლარით.

2012 წლის 19 ოქტომბერს ლიცენზიანტის მიერ პირველად წარმოდგენილი იქნა ტაბაწყურის ტბის სრულად დასაშვები კვოტის დადგენის მიზნით სამეცნიერო-კვლევის ანგარიში, რომელიც ლიცენზიანტს უკან დაუბრუნდა გადასამუშავებლად მასში არსებული ხარვეზებისა და არასრული მონაცემების გამო. აღნიშნული კვლევის

შესწორებული ვარიანტი ლიცენზიანტის მიერ წარმოდგენილი იქნა 2013 წლის 05 მარტს N03 წერილით (თან ერთვის), რომლის თანახმად, ტაბაწყურის ტბის თევზის მარაგის დადგენისა და დასაშვები ჭერილის - კვოტის დადგენის მიზნით, ხსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 18 აპრილის N13/379 ბრძანებით დაუმტკიცდა 2013 წლისათვის თევზჭერის კვოტა.

დანართი: 26 ფურცლად.

პატივისცემით,

ირაკლი მუკნიაშვილი
დეპარტამენტის უფროსი